

2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსზე  
„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის”

საპროექტო განაცხადების

რეგისტრაციის ინსტრუქცია

ინსტრუქცია მობილობის გრანტებისათვის

I. საკონკურსო დოკუმენტების მომზადება

1. გაეცანით საკონკურსო დოკუმენტებს.
2. მოამზადეთ აბსტრაქტი (full paper) **დანართი №2-ის** შესაბამისად (არაუმეტეს 5000 სიტყვისა) და პროფესიული ბიოგრაფია **დანართი №4-ის** შესაბამისად.
3. შევსებული დანართი №2 და დანართი №4 გააერთიანეთ ერთ PDF ფაილად და დაარქვით: saxeli\_gvari\_project. გამოიყენეთ ინგლისური ასოები.
4. მოამზადეთ შემდეგი დოკუმენტები:
  1. კონკურსის გამოცხადებიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ჟურნალის/მონოგრაფიის სატიტულო გვერდი, სარჩევი ავტორის გვარის მითითებით, პუბლიკაციის/ნაშრომის პირველი და ბოლო გვერდები);
  2. არაუმეტეს სამ სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დაიწყო კონკურსის გამოცხადების დღიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და განმცხადებელი მონაწილეობდა/მონაწილეობს მასში ძირითადი პერსონალის სტატუსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
  3. მოქმედი პირადობის მოწმობა/პასპორტი;
  4. მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა მაგისტრატურაში, რეზიდენტურაში, დოქტორანტურაში სწავლის შესახებ; უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტს თან უნდა ერთვოდეს „ცნობა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ“ გაცემული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;
  5. ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **დანართი 6-ის** შესაბამისად;
5. ჩამოთვლილი დოკუმენტები გააერთიანეთ ერთ PDF ფაილად და დაარქვით: saxeli\_gvari\_docs გამოიყენეთ ინგლისური ასოები.

## II. კონკურსზე პროექტის წარდგენა ელ. ფოსტის მეშვეობით

1. კონკურსის ელექტრონული ფოსტის მისამართზე [mgtravel@rustaveli.org.ge](mailto:mgtravel@rustaveli.org.ge) გამოგზავნეთ ზემოთხსენებული ორი დოკუმენტი:

1. saxeli\_gvari\_project
2. saxeli\_gvari\_docs

2. ელ. ფოსტის წერილის სათაურში (subject) დაწერეთ:

ა) იმ შემთხვევაში, თუ განაცხადს აკეთებს ახალგაზრდა მეცნიერი, წერილის სათაურში დაწერეთ „**მობილობა 2017 - ახალგაზრდა მეცნიერი**“.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის წარმომდგენი არ არის ახალგაზრდა მეცნიერი, წერილის სათაურში დაწერეთ „**მობილობა 2017**“.

3. ელ. ფოსტის წერილის ტექსტში დაწერეთ გამომგზავნის *სახელი, გვარი*, აკადემიური/სამეცნიერო სტატუსი, თანამდებობა, სამსახური, ტელეფონის ნომერი და საკონტაქტო ინფორმაციის სხვა დეტალები.

## III. პროექტის რეგისტრაცია

1. კონკურსის ელ. ფოსტაზე მიღებულ თითოეულ პროექტს მიენიჭება სარეგისტრაციო შიფრი და ელ. ფოსტით გაეგზავნება პროექტის წარმომდგენს. პროექტის სარეგისტრაციო შიფრი უნდა მიეთითოს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებაში (დანართი 9), რომელიც უნდა შეივსოს, ამოიბეჭდოს და ხელმოწერით დადასტურდეს პროექტის წარმომდგენის მიერ.

2. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ჩააბარეთ ფონდის კანცელარიაში 26 ივლისის, 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, მ.ალექსიძის ქ.1, III სართული, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

## ინსტრუქცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტებისათვის

### I. საკონკურსო დოკუმენტების მომზადება

1. გაეცანით საკონკურსო დოკუმენტებს.

2. მოამზადეთ შემდეგი დოკუმენტები:

- პროექტის თავფურცელი და პროექტის აბსტრაქტი **დანართი 3** -ის შესაბამისად
- საპროექტო წინადადება **დანართი 5** - ის შესაბამისად
- პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროექტის ძირითადი პერსონალისა და ძირითადი და პლენარული მომხსენებლ(ებ)ის/ლექტორ(ებ)ის პროფესიული ბიოგრაფია **დანართი 7**-ის შესაბამისად

- უცხო ქვეყნის მოქალაქეების (ძირითადი პერსონალი) პროფესიული ბიოგრაფია **დანართი 8**-ის შესაბამისად
- უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან უცხოეთში მოღვაწე ძირითადი და პლენარული მომხსენებლ(ებ)ის/ლექტორ(ებ)ის დაინტერესების წერილი (დედანი, ასევე, ნათარგმნი ქართულად და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ) პროექტში მონაწილეობაზე **დანართი 12**-ის შესაბამისად
- ცნობა თანადაფინანსების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში **დანართი 6**-ის შესაბამისად
- პროექტის ბიუჯეტი და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი **დანართი 13**-ის შესაბამისად

3. ერთ PDF ფაილად გააერთიანეთ შემდეგი დანართები: **დანართი №3, №5, №7, №8, №12 და დანართი №6** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაერთიანებულ ფაილს დაარქვით **project\_gvari**.

4. შევსებული პროექტის ბიუჯეტი და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 13) წარმოადგინეთ ექსელის ფაილის სახით. მომზადებულ ფაილს დაარქვით **budget\_timeframe\_gvari**.

5. მოამზადეთ პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის ძირითადი პერსონალის მოქმედი პირადობის მოწმობისა და განათლების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების დასკანირებული ასლები; დოკუმენტები თანმიმდევრულად გააერთიანეთ ერთ PDF ფაილად და დაარქვით: **personals\_docs**.

6. მოამზადეთ და გააერთიანეთ ერთ PDF ფაილად შემდეგი დოკუმენტები:

ა) საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტში თანამონაწილეობის თანხმობის წერილი (Letter of Commitment). თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ) პროექტის წარმომდგენი, საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაცემული 2017 წელს და წესდება. სსიპ-ების შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდის აღნიშვნა პროექტის თავფურცელში;

გ) საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის (ერთობლივი პროექტების შემთხვევაში) მხარდაჭერის წერილი (Letter of Support) პროექტში თანამონაწილეობის შესახებ. მხარდაჭერის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, ორიგინალისა და თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

გაერთიანებულ დოკუმენტს დაარქვით **organization\_docs**.

## II. კონკურსზე პროექტის წარდგენა ელ. ფოსტის მეშვეობით

1. კონკურსის ელექტრონული ფოსტის მისამართზე [ise@rustaveli.org.ge](mailto:ise@rustaveli.org.ge) გამოგზავნეთ ზემოთ ხსენებული დოკუმენტები:

1. project\_gvari ;
2. budget\_timeframe\_gvari ;
3. personals\_docs ;
4. organization\_docs.

2. ელ. ფოსტის წერილის ტექსტში დაწერეთ გამომგზავნის *სახელი, გვარი*, აკადემიური/სამეცნიერო სტატუსი, თანამდებობა, სამსახური, ტელეფონის ნომერი და საკონტაქტო ინფორმაციის სხვა დეტალები.

3. ელ. ფოსტის წერილის სათაურში (subject) დაწერეთ: „საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება 2017“.

## III. პროექტის რეგისტრაცია

1. კონკურსის ელ. ფოსტაზე მიღებულ თითოეულ პროექტს მიენიჭება სარეგისტრაციო შიფრი და ელ. ფოსტით გაეგზავნება პროექტის ხელმძღვანელს. პროექტის სარეგისტრაციო შიფრი უნდა მიეთითოს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებაში (დანართი 10), რომელიც უნდა შეივსოს, ამოიბეჭდოს და დადასტურდეს პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში), წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციების (საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთან ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) პასუხისმგებელი პირების ხელმოწერებითა და ბეჭდ(ებ)ით.

2. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ჩააბარეთ ფონდის კანცელარიაში 26 ივლისის, 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, მ.აღუქსიძის ქ.1, III სართული, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

**პროექტი არ განიხილება, თუ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტი არ იქნება წარმოდგენილი ვადების დაცვით ელ. ფოსტაზე, ხოლო ხელმოწერებით ან/და ბეჭდით დადასტურებული განცხადება - ფონდის კანცელარიაში.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის:**

1. 28 ივნისი 16:00 -ჯგუფური კონსულტაცია №1, ფონდის სააქტო დარბაზი - სარეგისტრაციო ფორმა;
2. 6 ივლისი 16:00 სთ. - ჯგუფური კონსულტაცია №2, ფონდის სააქტო დარბაზი - სარეგისტრაციო ფორმა;
3. 17 ივლისი, 16:00 სთ. - ჯგუფური კონსულტაცია №3, ფონდის სააქტო დარბაზი - სარეგისტრაციო ფორმა;

დამატებითი კითხვებისთვის მიმართეთ კონკურსის კოორდინატორებს:

თორნიკე სხირტლაძე

[skhirtladze@rustaveli.org.ge](mailto:skhirtladze@rustaveli.org.ge)

ვაჟა ლომიძე

[lomidze@rustaveli.org.ge](mailto:lomidze@rustaveli.org.ge)

**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გისურვებთ წარმატებებს !**